თამაშის დასახელება: მობილური რეკავს

თამაშის ტიპი: მარტივი, საინტერესო და სასაცილო თამაში,
მონაწილეები: 6 - 100
თამაშის ხანგრძლივობა: 15 – 45 წუთი
მიმართულებები: გაცნობითი, დისკუსიის სტარტერი (Ice breaker, Discussion Starter)

თამაშის აღწერა:
მონაწილეები იკრიბებიან ერთ ადგილზე, ეს შეიძლება იყოს დარბაზი სადაც დადგებიან ან თუ ძალიან ბევრი მონაწილე არ არის, შესაძლებელია შემოუჯდნენ მაგიდას. ორგანიზატორები წარადგენენ მოდერატორს. ყველა მონაწილემ თან უნდა იქონიოს საკუთარი მობილური ტელეფონი და თამაშის დაწყების წინ ჰქონდეთ გამორთულ მდგომარეობაში. ორგანიზატორები რიგ-რიგობით მონაწილეებს სთხოვენ ჩართონ მობილური ტელეფონი და გაუკეთონ დემონსტრირება მათ ზარს რომელიც აქვთ დაყენებული ტელეფონზე. შემდეგ კი აუხსნან დამსწრე საზოგადოებას რატომ აირჩიეს ესა თუ ის ზარი, ისაუბრონ სტილზე, თუ რა მნიშვნელობა უკავია ზარს, ისაუბრონ მის უპირატესობებზე განსაკუთრებულობაზე, თუ მათ არ აქვთ სპეციალურად შერჩეული ზარი მაშინ თქვან თუ რატომ არ აქცევენ ზარის შერჩევას ყურადღებას და თუ რას ფიქრობენ იმ ადამანებზე რომლებიც ზარის შერჩევას ანიჭებენ მნიშვნელობას. აუდიტორიას შეუძლია დაუსვან შეკითხვები მოსაუბრეს. ასვე მოდერატორს შეუძლია დასვას შემდეგი ტიპის შეკითხვები:
რამდენი ხანია რაც ეს ზარი აქვს;
რა სიხშირით ცვლის ზარს;
რატომ აირჩიეს ტელეფონის კონკრეტული მოდელი;
რა ადგილი უკავია მობილურ ტელეფონს მათ ცხოვრებაში;
რას ამბობს ეს კონკრეტული ზარი პატრონზე. და ა.შ.

თამაშის ჩატარების ადგილი
თამაშის ჩატარება შესაძლებელია როგორც ოთხში ასევე გარე ტერიტორიაზე

თამაშის ჩატარების გეგმა:

1. გუნდის მიწვევა და განლაგება (ან დასმა მაგიდასთან)
2. მოდერატორის წარდგენა;
3. მოდერატორი მონაწილეებს აუხსნის თამაშის წესებს;
4. მოდერატორი გახსნის თამაშს და დაიწყებს დისკუსიას.